ბიულეტენი

აჭარაწყაროს სულიერებისა და კულტურის ცენტრის
ყოველთვიური საინფორმაციო ორგანო

№1 (62) იანვარი 2013 წელი

ვუდღაცავთ!

ჩვენი ფოტოგალერეა

ჯონსონში „ამაღლებულებისა საქართველოს“. 2007 წელი

უეხვედრა ეკლესიაში პატრიარქისა და ჭკინტ ლევონ-ნიკოლოზ ოჩანინისშვილ. 2008 წელი

ჯონსონში „სულიერება და ეკლესია“. 2008 წელი

ცენტრში: უწმიდესი და უნეტარესი ილია II, მეუფე დანიელი (დათუაშვილი), აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ელგუჯა გვაზავა

პატრიარქისადმი მიძღვნილი ცეკვა „სნოური“. ასრულებს სახელმწიფო ანსამბლი „ერისიონი“

საშობაო ეპისტოლე წმიდიანისა და უფლისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მკვდრთა-თანმოძმის მთავარეპისკოპოსის, მიქელთისა და ცხოვრ-ათენგელთის მეფეთა-მეფისა II

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო სულიერნო შვილნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ღვთივკურთხეული ივერიის მკვიდრნო და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო!

„ამიერიდან უცხონი კი აღარა ხართ, არამედ წმიდანთა თანამოქალაქენი და ღმერთის სახლეულნი“ (ეფეს.2;19).

ათასწლოვანი მოლოდინი კაცთა მოდგმის ხსნისა დასრულდა. აღსრულდა მრავალ თაობათა ნატვრა, — იშვა იესო.

ოცი საუკუნის წინ აღმობრწყინვებული ბეთლემის ვარსკვლავი დღეს კვლავ ამცნობს სამყაროს ენით მიუწვდომელ საიდუმლოს ღვთის განხორციელებისა; სასწაულს, რომელსაც ვერასოდეს ჩასწვდება ადამიანური გონება. საოცრებას, რომელსაც ვერასოდეს წარმოიდგენდა თვით ანგელოზთა დასიც.

თითქმის არ არის არცერთი ქვეყანა, არცერთი ქრისტიანული ოჯახი, რომ არ ხარობდეს ამ დღის დადგომით, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრისთვის უცნობია ასეთი განწყობის ნამდვილი მიზეზი და ისიც, თუ რას ავალდებულებს ეს დღე ყოველ ადამიანს.

უმრავლესობა ვერ გვიპასუხებს, მაინც რა მიზნით მიიღო კაცობრივი ბუნება უფალმა? რა საჭირო იყო ეს? რა შეიცვალა მისი მოსვლით დედამიწაზე?

ამის გაგება ზოგიერთს არც კი აინტერესებს, მათთვის ისიც საკმარისია, რომ კარგი განწყობისა და მხიარულების რაღაც მიზეზი აქვთ. დაე, იყოს ეს ქრისტეს შობა, — არსობრივ მნიშვნელობას ამას არც ანიჭებენ. მათ კი, რომელნიც ნაკლებად გათვითცნობიერებულნი არიან სარწმუნოებაში, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილი აქვთ, კიდევ ერთხელ შევახსენებ წმინდა წერილს:

ადამი შემოქმედმა ხატად და მსგავსად თვისსა შექმნა და სამოთხეში ნეტარი ცხოვრება უბოძა, მაგრამ სამყაროს გვირგვინად და განმგებლად დადგენილი კაცი თავისი ნებით, ამპარტავნებითა და უპასუხისმგებლო ქცევით ღმერთს განუდგა და მაცდურის მონობაში აღმოჩნდა. მასთან ერთად დაეცა მიწიერი სამყაროც, რომელიც მას ექვემდებარებოდა. ღვთის მადლით აღვსილი ჰარმონია, წმ. მაქსიმე აღმსარებელის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეშმაკის ტირანიით განმსჭვალულმა სიძულვილმა და ურთიერთ დაპირისპირებამ შეცვალა; ეს მდგომარეობა აისახა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობებში, ისე ცხოველთა, მცენარეთა და საერთოდ, მთელი ბუნების არსებობის წესში: ყველაფერი დაექვემდებარა პრინციპს, — ბრძოლა არსებობისათვის.

ასე რომ, ღმერთსა და ადამიანს შორის გადაულახავი უფსკრული გაჩნდა; ადამმა და ევამ და მათმა შთამომავლებმა დაკარგეს სულიწმიდის მადლი, რითაც შემოქმედთან კავშირი ხორციელდებოდა და რაც ღმერთთან მათი მსგავსების განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი იყო; ამ მადლს მოკლებულნი, მოაკლდნენ სწორ აზროვნებასა და ქმედებასაც. ცოდვას ცოდვა შესძინეს და საკუთარ თავს მარადიული სიკვდილი განუმზადეს.

ამ რეალობის შეცვლის შესაძლებლობა კი აღარ არსებობდა, რადგან კაცთა ხსნა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეეძლო, რომელიც უცოდველი იყო და ხელეწიფებოდა სხვათა სიმძიმე ეტვირთა. ასეთი კი, ამქვეყნად არ იპოვებოდა, რადგან პირველქმნილი ცოდვა ყველას მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ამას კიდევ ცალკეული ადამიანის პირადი ცოდვებიც ემატებოდა.

ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედმა და განმგებელმა ცანი მოდრიკნა, ადამიანური ბუნება მიიღო და ჩვენი ხსნისათვის დავითის ქალაქში, ბეთლემში, იშვა.

აქ, ბაგაში, სიცივესა და სიმწირეში დაიბადა ახალი ადამი, — იესო, რათა ამპარტავნებით დაცემული ძველი ადამის ცოდვა გამოესყიდა, მართალთა სულები ჯოჯოხეთიდან ეხსნა და ღმერთთან კავშირი აღედგინა. აი, ეს არის ჩვენი დიდი სიხარულის მიზეზი, სათავე ენით გამოუთქმელი ბედნიერებისა. სხვა რა უნდა შევადაროთ ამ დღის სიდიადეს?!

როგორ ხორციელდება პირველქმნილ ჰარმონიასთან ჩვენი დაბრუნება?

პირველ რიგში ქრისტიანული ნათლისღებით.

„ბეჭედი მონიჭებულ არს სულისა მიერ წმიდისა, ამინ!“ — ამბობს საიდუმლოს აღსრულებისას მოძღვარი და შვიდჯერ სცხებს მირონს მას, ვინც ინათლება, რითაც ადამიანს ენიჭება სულიწმინდის მადლი და ეძლევა განღმრთობისა და ნეტარი მარადიულობის დამკვიდრების შესაძლებლობა.

ამ მიუწვდომელი წყალობის გამო წმინდა მამები, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, საუკუნეთა მანძილზე გულწრფელად გაოცებულნი კითხულობდნენ: „რაი არს კაცი, რამეთუ მოიხსენე მისი, ანუ ძე კაცისაი, რამეთუ მოხედავ მას?“ (ფს. 8:4).

ჩვენი ხსნისათვის მაცხოვრის თავგანწირვა, უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს და ამ ეპისტოლეში სწორედ აღნიშნულ გრძნობაზე მინდა განსაკუთრებით გავამახვილო ყურადღება.

ეს თვისება ადამიანში ასაკთან ერთად ვითარდება; ამასთან, რამდენადაც მაღალ სულიერ საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის პიროვნება, მით მეტად არის მასში ეს განცდა.

პავლე მოციქული ამბობს: „როდესაც ვიყავი ყრმა ვიტყოდი, როგორც ყრმა, ვფიქრობდი, როგორც ყრმა, ვმსჯელობდი, როგორც ყრმა; ხოლო როდესაც დავკაცდი, ზურგი ვაქციე ყოველივე ყრმობის დროინდელს (I კორ. 13:11).

ჩვენც გვმართებს ყრმობიდან გამოსვლა ანუ სულიერი გაზრდა და გაცნობიერება ჩვენი პასუხისმგებლობისა უპირველეს ყოვლისა შემომქმედის – უფლის, სამშობლოს და მოყვასის წინაშე; პასუხისმგებლობისა როგორც ცოცხლების, ისე გარდაცვლილების მიმართ, რაც გულისხმობს ჩვენს ვალდებულებებს მშობლებთან, ოჯახთან, მეგობრებთან, ნათესავებთან, მეზობლებთან მიმართებაში, ასევე სამსახურებრივ პასუხისმგებლობას.

ჩვენი წინაპრები თავიანთ შვილებს ბავშვობიდან უღვივებდნენ ამ გრძნობას. ამიტომაც იყო ჩვენი ერი ძლიერი. მიუხედავად განუწყვეტელი ომებისა, იგი იბრძოდა-კიდეც და ამასთან, დაუღალავად შრომობდა და ქმნიდა.

რწმენისა და მამულის დასაცავად საჭიროების შემთხვევაში ქუდზე კაცი გამოდიოდა. საერთოდ კი ოჯახში, სოფელსა თუ თემში ყველას თავისი პასუხისმგებლობა ჰქონდა: მეფე ზრუნავდა მთელს ერზე, თავად-აზნაურობა პატრონობდა და ხმლით იცავდა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებთ; ეკლესია ანათლებდა და სულიერად ამტკიცებდა ერს, სამწყსოს; გლეხები ქმნიდნენ დოვლათს; ყველანი ერთად კი შეადგენდნენ ჩვენი ქვეყნის ერთიან, მთლიან ცოცხალ ორგანიზმს, სადაც თითოეული თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ემსახურებოდა ღმერთს და ქვეყანას.

რომელიმე მათგანის დაძაბუნება იწვევდა ყველას დასუსტებას, რადგან არცერთი მათგანის ფუნქცია არ იყო უმნიშვნელო; თუმცა რაც უფრო მაღალი იყო წოდება და თანამდებობა, მით მეტი იყო პასუხისმგებლობაც. ეს კი ხშირად სიცოცხლის განირვას მოითხოვდა. ზოგჯერ მეფის ან სასულიერო პირის თავდადება იყო საკმარისი, მაგ. წმ. დემეტრე თავდადებული, წმ. ევდემოზ კათოლი-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

(დასაწყისი მე-3 გვ.)

კოსი, ზოგჯერ კი მთელი ერის, — მაგ. 100000 მოწამის.

თავისუფლება და პასუხისმგებლობა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ვინც თავისუფლებას კარგავს, მონურ მდგომარეობაში ვარდება და პასუხისმგებლობის განცდაც უქვეითდება.

გავიხსენოთ, რა მოხდა დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველოში: მთელი ეს ჰარმონიული სისტემა მოიშალა, მეფის ხელისუფლება და ეკლესიის დამოუკიდებლობა გაუქმდა, ძალაუფლება უცხო ძალის ხელში გადავიდა, რის შედეგადაც თავადაზნაურობა უგულო ბატონად იქცა, ყოველივე ეს კი მთელი სიმწვავით გლეხკაცობაზე აისახა.

ქართველმა კაცმა მისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი ძირფესვიანად შეცვალა. საქვეყნო საზრუნავის ადგილი პირადულმა დაიკავა. სამშობლოზე ფიქრის ნაცვლად მისი გონება მხოლოდ საკუთარ კარ-მიდამოსა და ოჯახზე ზრუნვამ მოიცვა.

დიდმა ილიამ ეს პრობლემა ცნობილი ლექსით, -"ბედნიერი ერი" — ნათლად დაგვანახა.

ერის უპასუხისმგებლო მდგომარეობამ მიგვიყვანა იქამდე, რომ 1918 წელს წმინდა ილია მართლის ეროვნული გზის ნაცვლად ხალხმა უცხო ქვეყნის ათეისტური პარტია აირჩია. შემდეგ კი კიდევ უფრო სამწუხარო შედეგმაც არ დააყოვნა და მოკლე ხანში ქვეყანა კომუნისტური იმპერიის ნაწილი გახდა.

უფალი, მართალია, სამართლიანია, მაგრამ, ამავე დროს მოწყალეც, რომელიც არა ცოდვათა ჩვენთაებრ მოგვაგებს, არამედ ჩვენი გამოსწორებისათვის გვწვრთნის იმის გათვალისწინებით, თუ რამდენის დატევნა შეგვიძლია.

ამიტომაც რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ, გაცილებით უკეთესად ვართ, ვიდრე ვიმსახურებთ და მრავალჭირგამოვლილი წმ. იოანე ოქროპირის მსგავსად მუდამ მადლობას უნდა ვწირავდეთ ღმერთს ყველაფრისათვის. და თუ გვსურს, მდგომარეობის გამოსწორება, უნდა ვიტვირთოთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა და უფლის წყალობა ამით მოვიპოვოთ. ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენით კი ვერაფერს გავხდებით. მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობა დამღუპველი იყო და იქნება ყოველთვის.

სამწუხაროდ, თითოეულ ჩვენგანს დღესაც გვაკლია პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენ გულგრილი ქრისტიანები ვართ, ნელ-თბილნი, და ამიტომაც დიდ შეცდომებს ვუშვებთ. ჩვენში მძლავრობს ეგოისტური ზრახვები და „მეს" პრინციპი, რაც ჭეშმარიტ ღირებულებათა დამანგრეველია.

ჩვენი სულიერი სისუსტის გამოვლინებაა თუნდაც ის, რომ დღესასწაულებს ფაქტობრივად მიწიერი გრძნობებით ვეგებებით და რეალური განცდა ცოცხალ ღმერთთან ურთიერთობისა, არა გვაქვს.

რომ ჩვენს გარშემო ვამჩნევთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც გვიყვარს ან გვძულს, სხვა უბრალო ადამიანები კი ყურადღების მიღმა გვრჩება. ღვთის წინაშე კი დიდი და მცირე არ არსებობს.

რომ ცოდვა აღარ გვაწუხებს და მისი სიმძიმის განცდაც აღარ გვაქვს.

რომ თითქმის გაწყვეტილი გვაქვს კავშირი ბუნებასთან, მისდამი მხოლოდ მომხმარებლურ დამოკიდებულებას ვიჩენთ და ჩვენი უპასუხისმგებლო ქცევით ვანადგურებთ მის სიკეთეთ.

ჩვენი დანაშაულია ისიც, რომ კარგად არ ვიცნობთ ჩვენს წარსულს, ჩვენს ისტორიას; არადა მისი ცოდნა გვეხმარება, რომ არ მოვწყდეთ ჩვენს ფესვებს, საკუთარი თავი შევიცნოთ და სიცოცხლის აზრიც ნათლად გავაცნობიეროთ.

არაერთხელ მითქვამს ისიც, რომ დღეს ინფორმაციული ომის ჟამი დგას, კალმით ანუ სიტყვით ბრძოლის დრო. მასთან შეჭიდება კი გონიერმა, მცოდნე და ამასთან ღვთისმოყვარე ადამიანებმა უნდა იტვირთონ. უნდა შევძლოთ, ყალბი იდეალების ბატონობის ჩვენს ხანაში გავხდეთ სულიერად უფრო მტკიცენი და ძლიერნი, რათა გავიმარჯვოთ.

განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს და ვთხოვო: გაუძელით ინფორმაციულ შემოტევას, რომელიც ნიაღვარივით მოედინება მასმედიიდან და ცდილობს, ცრუ ღირებულებების გავლენის ქვეშ მოგაქციოთ, არ გახდეთ თანაზიარნი ფსევდოკულტურისა, რომელიც ამახინჯებს ფსიქიკას, აუხეშებს გრძნობებს და აცარიელებს შინაგან სამყაროს.

შეიყვარეთ წიგნი, ისწავლეთ ღრმა აზროვნება, ისწავლეთ ღმერთის შიში და სიყვარული, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ერთგული მეციხოვნენი გახდეთ.

დრო მცირე გვაქვს და არ უნდა აღმოვჩნდეთ იმ ხუთი ქალწულის მდგომარეობაში, რომელთა კანდელსაც უფლის მოსვლისას საკმარისი ზეთი არ აღმოაჩნდა და მიუხედავად იმისა, რომ იყვნენ მორწმუნენი და უფლის მომლოდინენი, ვერ შევიდნენ ღვთის საუფლოში.

ბოროტის გავლენისაგან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს მხოლოდ ძლიერ პიროვნებებს შეუძლიათ, ანუ მათ, რომელნიც საკუთარ ნებას გააზრებულად უმორჩილებენ ღვთის ნებას და ამქვეყნიურ საცდურთა წინააღმდეგ ბრძოლას არ უშინდებიან.

ყოველი ქრისტიანი უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთი პიროვნება უნდა იყოს, — ჭეშმარიტად თავისუფალი და სულიერად ძლიერი, რათა ერს ხერხემლად ექცეს. ასეთი ადამიანების აღზრდის საქმეში ეკლესიას დიდი როლი აკისრია.

საერთოდ, ეკლესია ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას; იგი ის მაცხოვნებელი წიაღია, რომელიც ინარჩუნებს საუკეთესო ტრადიციებს და აქვს რა უცვალებელი რჯული და მოძღვრება, ყველა ეპოქაში მოწმობს ჭეშმარიტების შესახებ.

გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლოს მიუახლოვდა ადამიანთა თანასწორობის შესახებ ღირებულებათა იმ სტანდარტებს და ფასეულობებს, რასაც ეკლესია ოცი საუკუნის წინ ქადაგებდა. მონათმფლობელობის და ფეოდალიზმის პერიოდში, ძალმომრეობისა და დაუნდობლობის ხანაში, ქრისტეს სახარება მოუწოდებდა ხალხს თანასწორობისაკენ.

ყოველი ქრისტიანის ცხოვრება აბსოლუტურად თავისუფალია და ეკლესიის წევრობაც მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზეა დაფუძნებული. თითოეული მრევლის წევრი მხოლოდ საკუთარი სინდისით არის დაკავშირებული მოძღვართან და ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლოც სინანულისა მხოლოდ მის პირად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული, — ადამიანი დამოუკიდებლად წყვეტს, რას იტყვის აღსარებაში და იმასაც, რამდენად იქნება ეს ნათქვამი სინანულით გაჯერებული.

სრული თავისუფლებით მომქმედი და, ამავე დროს, ჭეშმარიტი სინანულით განმსჭვალული პიროვნება იღებს სულიწმინდის მადლს, რომელიც ცვლის მის სულიერ და ყოფით სამყაროს და მას ღვთის სათნო შვილად აქცევს; შემდეგ კი უკვე იგი თვითონ ხდება გზის მაჩვენებელი სხვათათვის; ამაზე წერდა წმინდა სერაფიმე საროველი: მოიხვეჭე სულიწმიდის მადლი და შენს გარშემო ათასები ცხონდებიანო.

თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, მოიპოვოს სულის სიღრმეში დამალული უფლისგან ბოძებული ეს საჩუქარი, ვალდებულია, ააღორძინოს იგი, რათა ღირსეულად აღასრულოს თავისი ვალი ამ წუთისოფელში და შემდეგ ჩვენს დიდებულ წინაპართა მსგავსად ზეცის მოქალაქეობა მოიპოვოს.

შორეული ქვეყნებიდან ახლადშობილი იესო ქრისტეს თაყვანისსაცემად მიდიან აღმოსავლელნი მოგვნი, მიდიან მწყემსნიც თავისი გულწრფელობით, ანგელოზთა გალობის მსმენნი. მაშ, წავიდეთ ჩვენც, რათა ვიხილოთ ბაგასა მწოლი იესოს დიდებულება და აღარასოდეს განვშორდეთ, რადგან საუკუნო სიცოცხლის სიტყვები მასა აქვს მხოლოდ. (ინ. 6:68).

„ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!"

ჩემო სულიერო შვილებო, ჩემო ნათლულებო, ყოველნო ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, რუსნო, ასირიელნო, იეზიდნო და ქურთნო, სომეხნო, აზერბაიჯანელნო, უკრაინელნო და უდინნო... ყველას გილოცავთ ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. უფალმა მოგანიჭოთ მადლი სულისა წმიდისა, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა, ამინ!

თქვენთვის მლოცველი

ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი.
შობა ქრისტესი.
თბილისი, 2013 წელი.

თქვენო უწმიდესობავ,

ნება მიბოძეთ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის თანამშრომელთა და ჩემი სახელით მოგილოცოთ თქვენ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ღირსშესანიშნავი თარიღები — აღსაყდრებისა და დაბადების დღეები.

დღეს თქვენ, ყველა სხვა მოვალეობასთან ერთად, იტვირთეთ დროის სირთულით დამძიმებული ყველა სიძნელე, როგორც ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა. ეს გარემოება დიდი აზრის შემცველია არა მარტო ჩვენთვის, საქართველოს, აფხაზეთის მკვიდრთათვის, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. თქვენ ის დიდებული მშვიდობისმყოფელი ბრძანდებით, რომელსაც თან მოაქვს ძმათა შორის სიყვარული და მშვიდობა — კაცობრიობის მარადიული იდეალები, მარადიული იდეალები ცალკეული ადამიანებისა და ხალხებისა. და ჩვენ ვიცით, რომ მშვიდობა — უფლის საჩუქარია და მისგან მოდის, და გვეძლევა, როგორც გვირგვინი და ნაყოფი ზნეობრივი ძალისხმევისა და სიკეთისა. მთელი თქვენი ცხოვრება, თქვენი ლოცვები მშვიდობისა და სიყვარულისათვის გვაძლევს ძალას ჩვენ, ქვეყნის უბრალო მოქალაქეებს, ვემსახუროთ თქვენი მაგალითისამებრ, მშვიდობის დამყარებას, აღვავლინოთ ლოცვა მაშინაც კი, როდესაც უფლის გარდა, ყველასათვის უცნობებად ვრჩებით. ჩვენ თქვენში ქრისტიანული სიწმინდის მატარებელს ვხედავთ.გულს ხვდება თქვენი სიტყვები, მოქმედება, თქვენი სურვილი, დაუღალავად ეძიოთ სიმართლე, იყოთ აღსავსე ქრისტეს ღვთაებრივი სწავლებით. მე შემძრა თქვენმა დამოკიდებულებამ ვაჟა-ფშაველას სიტყვებისადმი, როდესაც დიდებული მგოსანი ამბობს: „ბალახი ვიყო სათიბი, არა მწადიან ცელობა, ცხვრადვე მამყოფე ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა“. ეს მორჩილება დამახასიათებელია თქვენთვის ისევე, როგორც სიყვარული, უდიდესი სიყვარული ადამიანებისადმი. თქვენ შეგეძლოთ გაგემეორებინათ იოანე ოქროპირის გულშიჩამწვდომი სიტყვები: „ქრისტეს აღდგომის დიდებულ დღესასწაულზე მოდით ყველანი, ვინც მარხულობდით და ისინიც, ვინც მარხვას არ იცავდა, ადრე თუ გვიან მოსულები, ყველანი მოდით... ამ დიდებულ დღეს ყველასათვის ღიაა ღვთაებრივი სიყვარულის კარი“.

იესო სირახი ამბობს:

„გაადნე ოქრო და ვერცხლი, რაც გაქვს, რათა გააკეთო მისგან სასწორი, რომელიც აწონის შენს სიტყვას, რათა გამოჭედო სანდო ლაგამი, რომელიც შეაკავებს შენს ბაგეებს“.

მაგრამ მე მაინც არ შემიძლია არ ვთქვა მხურვალე მადლიერების გამომხატველი სიტყვები, არ გამოვყო ის ფაქტი, რომელიც ნათელია ჩვენთვის, აფხაზეთის მცხოვრებთათვის: განსაკუთრებული ყურადღება, განსაკუთრებული მზრუნველობა, განსაკუთრებული სიყვარული ჩვენდამი, იმ მიწის ადამიანებისადმი, რომელიც თქვენთვისაც იყო და რჩება უძვირფასეს ადგილად სამყაროში.

განსაკუთრებული შფოთის დღეებში, როცა სული განსაკუთრებული განსაცდელის დროს აცნობიერებს, რომ არ შეუძლია საკუთარ თავს თვითონ უშველოს და ევედრება უფალს: „უფალო, შემიწყალე, ნუ მიმატოვებ, უფალო, შემინდე და შემიწყალე“. მაშინ ჩვენ მოვისწრაფით თქვენკენ, თქვენში ვეძიებთ მხარდაჭერასა და საყრდენს — თქვენს სიტყვებში, ლოცვაში, თქვენს მზერაში, სიყვარულში, რომელსაც გვჩუქნით უშურველად.

სიყვარული — ყველაზე მტკიცეა, ყველაზე მშვენიერი ყველა კავშირს შორის, რომელსაც, ადამიანის შეზღუდულობის მიუხედავად, ხელეწიფება შეიყვანოს იგი მარადიული მშვიდობისა და უსასრულო ჰარმონიის სფეროში. თქვენ გვაახლოებთ ჩვენ უფალთან და არ ითხოვთ თქვენი სამწყსოსაგან განსაკუთრებულ გმირობას, მიიჩნევთ რა, რომ არ სჭირდება იძულება მას, ვისშიც სულიწმიდის მადლია დავანებული, მას, ვინც დაუღალავად ეძიებს სიმართლეს, ჭეშმარიტებას და ვინც აღსავსეა სწრაფვით ეზიაროს ქრისტეს ღვთაებრივ სწავლებას.

მადლობას გწირავთ ყველაფრისათვის. გისურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას. თქვენ სჭირდებით საქართველოს ხალხს, ყველას, ვისაც შესწევს უნარი დააფასოს აზრი და არსი თქვენი მოღვაწეობისა, მოღვაწეობისა თქვენი ხალხის და, შესაბამისად, მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

სვეტლანა ძეცგა

აფხაზეთის სულიერებისა და
კულტურის ცენტრის თავმჯდომარე

აფხაზეთის ახალი აკადემიური ქერის მეხაკირკვლე

მრავალფეროვანი და მრავალწახნაგოვანია ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის ილია II მოღვაწეობის სფერო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი საქმიანობა განათლებისა და მეცნიერების განვითარების მიმართულებით. უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლით თბილისში ჩამოყალიბდა სასულიერო აკადემია. მისი ლოცვა-კურთხევით ეპარქიებში გაიხსნა სასულიერო გიმნაზიები, სასწავლებლები, სემინარიები, წმ. თამარ მეფის სახელობისა და ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტები შესაბამისად თბილისსა და ხონში. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, რომელიც საქართველოს პატრიარქის თაოსნობით შეიქმნა. საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით ახალ საფეხურზე ავიდა გელათის მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობა.

რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო უწმიდესისა და უნეტარესის დამსახურებას აფხაზეთის ერთ-ერთი აკადემიური კერის — ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის — დაარსების საქმეში, რაც ნაკლებადაა ცნობილი საზოგადოების ფართო წრეებისათვის.

2010 წლის გაზაფხულზე აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფმა გადაწყვიტა საქართველოს საპატრიარქოსთან დაეარსებინა ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ხელს შეუწყობდა იძულებით გადაადგილებულ მკვლევრებს სამეცნიერო მუშაობის წარმართვასა და კოორდინირებაში. მათ თხოვნით მიმართეს მაშინდელ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს მეუფე დანიელს (დათუაშვილი) ეშუამდგომლა უწმიდესისა და უნეტარესის წინაშე. პატრიარქი დიდი გულისყურით მოეკიდა ამ ინიციატივას და 2010 წლის 20 მაისს მისცა ლოცვა-კურთხევა. საინიციატივო ჯგუფმა უმოკლეს ვადაში განახორციელა მოსამზადებელი სამუშაოები. 2011 წლის 18 იანვარს ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია ოფიციალურად შეუდგა ფუნქციონირებას. აკადემიამ შემოიკრიბა დევნილ მეცნიერთა დიდი ნაწილი, თბილისისა და საქართველოს რეგიონებში მომუშავე სხვადასხვა დარგის სწავლულები. აკადემიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა თავის საქმიანობაში ჩართოს და დახმარება გაუწიოს ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ მეცნიერებს.

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია არის მრავალდარგოვანი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების სპეციალისტებს. აკადემიაში ფუნქციონირებს 8 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მათ შორის, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის, ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ინსტიტუტები. აღსანიშნავია, რომ პირველად საქართველოში აკადემიაში ჩამოყალიბდა რელიგიათმცოდნეობის ინსტიტუტი, რომელიც იკვლევს ქრისტიანობის აქტუალურ პრობლემებს, რელიგიის ისტორიის, რელიგიის სოციოლოგიის, რელიგიის ფსი-

(გაგრძელება მე-8 გვ.)

ჩვენი ფოტოალბომ

სულიერ სვეტისწოვლის ჯვეროვანსიაში. 2009 წელი

საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმღერიანი კვარტეტი ჰაიდნის „ჯვარცმული ქრისტეს 7 უკანასკნელი სიტყვის“ შესრულების შემდეგ

შეხვედრის დასასრული

წმ. ბიოჯების ოჯოს ოჯღენიო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღაჯილღოვეზისაღმი მიძღვნილი შეხვედრა. 2009 წელი

სვანეთში ბჩსგზული საეკლესიო ნაძაბეოების წჩის წეეჩის ნამუშევრების და ნახატების ბაეოფენა ეკუთვნილის წმ. ბიოჯების სახელოების ტაძარში. 2010 წელი

ახალი სადღესასწალოები

აფხაზეთის სასულიერო და საერო ხელისუფლების ხელმძღვანელობა ქართველ ერს ჯილდოებად სამკვიდროს მაღალი ეროვნული ჯილდოები - წმ. ნინოს ორდენს ორდენით. 2011 წლის 7 იანვარი

შეხვედრები ბატონიჯიანთან

საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი შალვა მუქერია; როიალთან - პროფესორი თემურ ელიავა. 2007 წ.

საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელმწიფო და ფალიაშვილის პრემიების ლაურეატი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ სოტკილავა, მარიკა გულორდავას, ახმათ და თამარ შერვაშიძეებთან ერთად. 2010 წ.

ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გოჩა აბულაძე; როიალთან - საქართველოს სახალხო არტისტი ვაჟა ჩაჩავა. 2010 წ.

რუდოლფ ხაშბა უწმიდესთან. 2012 წ.

(დასაწყისი მე-5 გვ.)

ქოლოგიისა და სამართლის საკითხებს. უმოკლეს დროში ინსტიტუტმა გამოსცა სახელმძღვანელოები ქრისტიანობის ისტორიაში, რომლებიც ფართოდ გამოიყენება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

აკადემიაში ფუნქციონირებს დიმიტრი გულიას სახელობის ისტორიის, ენისა და კულტურის ინსტიტუტი, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ქართული, აფხაზური, რუსული, ევროპული და ჩრდილოეთ-კავკასიური ენების შესწავლაზე. პროფესორ ოთარ ჭურღულიას სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლა აფხაზური და კავკასიის სხვა ხალხების ლიტერატურული ურთიერთობების ჭრილში და ა.შ.

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია გამოსცემს შრომებს, რომელშიც იბეჭდება როგორც აკადემიის წევრების, ასევე სხვა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შრომები.

აკადემიის წევრთათვის დაუვიწყარი იყო უწმიდესსა და უნეტარესთან ილია II-თან შეხვედრა 2012 წლის თებერვალში. შეხვედრაზე საქართველოს პატრიარქმა მოისმინა აკადემიის ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. თავის გამოსვლაში კათოლიკოს-პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების აუცილებლობაზე, რომელთაც პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ საქართველოს შემდგომი ეკონომიკური, კულტურული და სულიერი წინსვლისათვის; რწმენისა და მეცნიერული ცოდნის ურთიერთკავშირზე, აკადემიას დაუსახა უახლესი ამოცანები და სამომავლო პრესპექტივები.

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია ძალ-ღონეს არ იშურებს პრაქტიკულად განახორციელოს უწმიდესისა და უნეტარესის მითითებანი და კიდევ უფრო აამაღლოს აფხაზეთიდან დევნილი სწავლულების სამეცნიერო პოტენციალი.

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ყველა წევრი გულითადად ულოცავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II აღსაყდრების 35 და დაბადების 80 წლისთავს, უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის, ერისა და ეკლესიის სასიკეთოდ.

ოთარ ჭორდანია
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

გაწარმართებულ ერს მოეკლინა წინამძღვრად, მამად,
ოცდათხუთმეტი წელია გვწურთნის და გვმოძღვრავს მოციქულისა
ჰაგლესა დარად,
სიყვარულით, მოთმინებითა და შეგონებით ცდილობს გვიჩვენოს
ბოროტებაზე სიკეთის ძალა,
ჯვარზე გაკრული, უდრტვინველად მიუძღვება მაცხოვრის ფარას,
ივერიის ყველა წმინდანის მეოხებას იყარებს ფარად
და დედა ღვთისმშობლის მოწყალებას — იმედის კარად;
მუხლმოყრილი წმიდა სამებას ევედრება კვალად და კვალად:
შეადღეაბოს ქართველობა უმტკიცეს რწმენად,
ქრისტეს მხსნელობად, სარწმუნოების სადარაჯოზე ერთგულად მდგარად,
ღვთის და მამულის სიყვარულით გულანთებულნი ვდგებოდეთ მეარად.
ამა სოფლის უსიერ ტყეში გზააბნეულებს მისი ლოცვის ნათელი
გვფარავს,
მისი ღიმილით გულგამთბარნი გაუსაძლისს მივიჩნევთ არად,
მის სახეზე ბევრჯერ გვისილავს თანაგრძნობის თუ სიხარულის
ცრემლები ღვარად...
მისი „მზიანი ღამის“ კურთხევა გვეპყურებოდეს ზეციურ ცვარად,
უბერებელი მისი მზეობა ქუფრს გვინათებდეს დარად,
და ღვთის ვალობას გვიბოძებდეს ვით საკვედრებელს მარადს...

მონაზონი ელენე (ნაფეტვარიძე)

ერთხელ მეგობარმა მითხრა — წარმოუდგენლად დიდი წყალობა გვერგო წილად, რომ უფალმა მართლმადიდებლებად გაგვაჩინა და დაბადებისთანავე ჭეშმარიტებას გვაზიარა.

ვმადლობ უფალს ამისათვის და კიდევ იმისათვის, რომ ჩემი ცხოვრების ხანგრძლივი მონაკვეთი თქვენს საჭეთმპყრობელობას ემთხვევა, ვარ თქვენი უდიდესი, მადლით აღვსილი ღვაწლის მომსწრე და მიმღები და მაქვს შესაძლებლობა, უკვე მეორედ, მოგილოცოთ აღსაყდრებისა და დაბადების დღეები.

თქვენო უწმიდესობავ, თქვენი სულიერი შვილებისათვის, და მათ შორის ჩემთვის, უმნიშვნელოვანესია თქვენი თითოეული სიტყვა, თქვენს თვალებში ამოკითხული სევდა თუ სიხარული. თქვენი ყოვლისმომცველი სიყვარულით აღსავსე ღიმილი ჩვენთვის სიკეთის მაუწყებელი, იმედის ჩამსახველია, რომ ქვეყანა დამშვიდდება და თითოეული ადამიანის სულში სიკეთე და სიყვარული დაისადგურებს, კეთილგონიერება — გონიერებაზე, ხოლო მოყვასის სიყვარული პატივმოყვარეობაზე უპირატესი იქნება.

თქვენო უწმიდესობავ, მინდა გისურვოთ ურყევი ჯანმრთელობა, რათა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ატაროთ მძიმე ტვირთი, რომელსაც ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელობა, სულიერი შვილების და არა მარტო მათი, დამრიგებელი, ერის ბედნიერებისა და ძნელბედობის გამზიარებელი და მოსიყვარულე სულიერი მოძღვარი ჰქვია.

უფლისმიერი სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით,

ირინა ნორაკიძე
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო მედიაციის სამსახურის უფროსის მრჩეველი

შთაბეჭდილებას პატრიარქის შესახებ დავიწყებდი უფლისადმი სამადლობელით, რომ მომეცა შესაძლებლობა შევხვედროდი და მესაუბრა მის უწმიდესობასთან.

ჩვენი შეხვედრა ხანმოკლე იყო, მაგრამ ჩვენმა საუბარმა, პირადად ჩემთვის, განსაკუთრებული ხასიათი შეიძინა. არ შემიძლია არ აღვნიშნო უბრალოება და უშუალობა პატრიარქთან საუბრისას და იმავდროულად განსაკუთრებული ყურადღება თანამოსაუბრისადმი.

იმ დღეს პატრიარქთან სხვადასხვა თემაზე ვისაუბრეთ და არ შეიძლებოდა არ გეგრძნო გულწრფელობა და გულითადობა, რომელსაც ის ფლობდა. ნებისმიერი თემა ან წინადადება მის ინტერესს იწვევდა. მისი ბაგეებიდან მოწოდება ჟღერდა: მიდით, იმუშავეთ, შემოგვთავაზეთ, მე მუდამ მზად ვარ მხარში დგომისათვის. ეს სიტყვები ძალზე ძვირფასია! არა მარტო ჩვენთან, არამედ ყველა გარშემომყოფთან იგი მარტივად და თბილად ლაპარაკობდა. ჩემ წინ ვხედავდი კეთილი სულის, ბუნებრივ ადამიანს გახსნილი გულით. ადამიანს ცოცხალი, ღრმა რწმენით. ყოველი მისი სიტყვა გამსჭვალული იყო აფხაზეთისა და აფხაზი ხალხისადმი პატივისცემითა და ინტერესით. და მე ვგრძნობდი, რომ ამას იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ ჩემდამი კეთილგანწყობა გამოეხატა, არამედ იმიტომ, რომ ეს მისი გულიდან მოდიოდა. და განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მომეჩვენა, რომ ყველაფერი, რაზედაც მესაუბრებოდა, არავითარ შემთხვევაში არ ატარებდა პოლიტიკურ ელფერს, არამედ თავისი არსით იყო ღრმად სულიერი. პატრიარქთან მეორედ შეხვედრისას საშუალება მომეცა მისი სახელით შემეძინა ხატები, რომლებიც ჩემთან სახლში ინახება.

მე ვიგრძენი ქართველი ხალხის სრულიად უსაზღვრო, ადამიანური სიყვარული მისი უწმიდესობისადმი და ვფიქრობ, პატრიარქმა იგი მოიპოვა არა ლამაზი სიტყვებით, არა დალაგებული თეორიებითა და გაშალაშინებული ფრაზებით, არამედ მტკიცე რწმენით და უფლისად-

მი, ხალხისა და ქვეყნისადმი მსახურებისათვის გაწეული დაუღალავი შრომით. არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს მისი დამსახურება, რამეთუ ილია II პატრიარქობის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი, ტაძრებისა და მონასტრების რაოდენობა.

გულწრფელად გილოცავთ 80 წლის იუბილესა და აღსაყდრების 35-ე წლისთავს. გისურვებთ დღეგრძელობას და სულიერ და ხორციელ ჯანმრთელობას.

ცალკე მინდა მადლობა გადაგიხადოთ თბილი მიღებისათვის, ჩვენი შეხვედრებისას თქვენ მიერ გამოჩენილი ყურადღებისა და კეთილი დამოკიდებულებისათვის.

რუდოლფ ხაშბა
იურისტი

ოცდახუთსა –და–დეკემბერსაო...

„ნათლითა ტკბობას მოჰფენს ნამეოს,
აწმეოს და მერმისს“, –
ანგელოზების გალობა და ჩურჩული გვესმის.
დღეების მეფე ნეტარ დილად დაგვათენდება –
ამქვეყნად ჩუქად ქრისტე იშვება
ოცდახუთსა-და-დეკემბერსაო.
ნუგეშს სცემს საწუალ-ღარიბს ბეგერსაო,
ვარსკვლავს დაადგამს თავს ბეთლემსაო,
მოსწყენდს ჯვარცმითა ცრემლებს ერსაო.
ოცდახუთსა-და-დეკემბერსაო...
გულო, ჩამიდექ საგულესაო!
„გცივა? რაი ვქნა მონამ უფლისამ?“
„გული გამიღე, კარი გულისა...
ოცდახუთსა-და-დეკემბერსაო
სახთელ გამათბობს შენ სარმელსაო...
ჩაგეხუტები დედის მკერდსაო,
ბაგა მიწუნარებს ცივ ბეთლემსაო!
არ ვებრალები სასახლესაო,
თაყვანისცემად ვუხმობ მწყემსსაო,
მოგვნიც მოსულან,
მწირვენ მღვენსაო...
ოცდახუთსა-და-დეკემბერსაო
მოვედ განუოფად!“...

ბათუმი. ბავშვობა. სოხუმის ქუჩა.

წიგნებს და გაზეთს რომ ვკითხულობ,
ეს კიდევ არ ნიშნავს — სკოლაში დავდივარ.
ჯერ ისევ ჰატარა ბიჭი ვარ (ამბობენ),
სოხუმის ქუჩაზე ვცხოვრობ და მარტოდენ
ჩემების — მშობლების
და კიდევ ბებიოს დარდი ვარ.
ნაპირზე ცხელ ქვეებზე დავრბივარ,
ეურს ვუგდებ მომავლის ავდრიდან
სიმღერას ნაღვლიანს ნამდვილად:
„სოხუმი საქართველოა,
ფესვები იქ გვაქვს ულვლასო,
ანსოდეს ქვეყნის ერთობა
ეგრეეე ითხოვს შვილასო“...
ახლა კი აწმეოში,
წვიმების ავდარში,
მაგნოლიებიან
ზღვისპირა ქალაქში,
სოხუმის ქუიჩაზე
ბედნიერ ბავშვობას გავდივარ,
იცილებს
სოხუმი წინწრასვას –
ჯერ იგი სრულიად არა ჰგავს
სხველის ღამეულ ტკივილებს.
ეს კია –
კარიესს უღრღნია, წლებია,
ამ ჩვენი მიწაწყლის კედლები ცრემლით და
გულს ცეცხლის დებითა...
მერე რა, რომ ჩვენი ქუჩები ზღვას დაშორებია –
ჭაობთან ახლოა.
განა ზღვის ხოტბით და
ჭაობის თაკილით
ვსაზღვრავთ ჩვენ სამშობლოს ავ-კარგს...
ან ასკილით?!
ეს ქუჩაც ზღვით მოსულ და მიწაგამოვლილ
ტკივილებს განიცდის თავის წილს.
ეეეეურს მგონია სამშობლოს არ უჭირს:
მაქვს გავრაც, ათონიც, ბედიაც...
და თურმე ეს ქართლის ბედია –
კარსტული მღვიმენიც,
დრანდიც და ამბარაც
დარჩება რაღაც ხნით აფთრების ამარა...
მაგრამ ჯერ ხანაა სამოციანების...
მშვიდობით! –
ჩემ ჰირველ ქუჩას ვეთხოვები,
წინ მელის ეხველსის ქუჩასთან შეხვედრა...
მეხუთე სართული...
ცარგვალს — ამ კოშკიდან
მნათობთ რომ ვუცქირო — ვინმე თუ ვვედრა
მლოცველი ოშკიდან!
იწყება თამაში ენგელსის ქუჩაზე,
გრძელდება ბავშვობა — მოკლდება ჭა ზღვამდე:
ჯერ ვარსკვლავს მიწვავენ ზედ გულის ჰერანზზე –
ცხადდება ხუთეიმა ბეჯედით
ნიშნობა-დაწინდვა ვერაგზე!
და როცა იძინებს ჰატარა ქალაქი,
კოშკიდან კარგად ჩანს ქუჩები-ძარღვები:
მთისძირის, ზღვისპირის, თბილისის, ბაღების,
ფერიის, სოფლოს, სოხუმის, ზღაპრების,
მეფეთა, რუსთველის, აჭარის, ლამპრების,
აკაკის, ილიას, ვაჟას და აფრების...
დღისით კი ეზოში და მერე მის გარეთ
გამოსულს
მგონია ქუჩებთან შეხვედრით დაგბერდი –
ჰაწია არსებას შხამიან ხიშტებად
აქ მისაფრდებიან ქუჩათა აბრები:
მარქსის და ლენინის,
წეითელარმიელის,
ი. კალიაევის,
სერგოს და სვერდლოვის,
ცეტკინის,
ლუქსემბურგის,
რევოლუციის,
ლუნაჩარსკისა
და კიდევ — ძერჟინსკის...
და როცა იძინებს ჰატარა ქალაქი,
კოშკიდან კარგად ჩანს ქუჩები-ძარღვები,
იმედიც, რომ არსად ერთმანეთს არ კვეთენ
ლენინის, კ. მარქსის, სვერდლოვის, ეხველსის
და სხვა მისთ. ქუჩები...
როდემდე გაძლებენ?
ცხრა და შვიდი და ექვსი დღის წინ
ბათუმში,
რომელმაც იცვალა ფერების ფასადი,
დასრულდა უგვანი აბრების ჰარადი
ჯორჯ ორუელისა
და ფრანც კაფკას კოშმარულ სიზმრიდან...

* * *

ტექსტის ანარეკლთა სიღრმიდან,
წარსულის გაცვეთილ შირმიდან
მიცქერის თვალები,
რომელთაც სურთ:
დაბრუნდნენ ჯუბერით სახლებში,
ვაფრინდნენ ვერტმფრენით ლიხნისკენ,
ვაცურონ კატერით სოჭიდან,
ახთონ ილორში სანთელი,
იპოვნონ ბავშვობა, რომელიც დამალეს
თოჯინის ფახულა თვალებში
და თოფის მარცხენა ლულაში
ბალკონზე, სოხუმის ქუჩაზე,
და აღარ წუდებოდეს სიმღერა
მეოფადი დროების ურმობიდან:
„სოხუმი საქართველოა,
ტკივილს გვიამებს ულვლასო...
მტერს „ვაი დედა“ ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ „დედა-დედასო!“
ჩონგური სოხუმი არის,
სიმები ჩვენ ვართ ულვლასო!“

* * *

წიგნებს და გაზეთს რომ ვკითხულობ,
ეს კიდევ არ ნიშნავს — სკოლაში დავდივარ.
ჯერ ისევ ჰატარა ბიჭი ვარ (ამბობენ),
სოხუმის ქუჩაზე ვცხოვრობ და მარტოდენ
რეკაზე ვეფეერები
აფხაზეთს!

არძიმანდრიტი ადამი (ახალაძე)

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა და მოკრძალებული სიყვარული გამოვხატო ჩვენი ერის სულიერი მამის, ჩვენი უსაყვარლესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ.

მე და ჩემს ოჯახს სულითა და გულით გვსურს მივულოცოთ ეს ღირსშესანიშნავი დღეები და ვუსურვოთ ჯანმრთელობა, კეთილდღეობა, დღეგრძელობა. უფალს შევთხოვთ, დიდხანს გვიმყოფოს უწმიდესი ჩვენს იმედად და წინამძღოლად და კეთილდამრიგებლად, რადგან ქართველი ერი დღეს საჭიროებს მის თანადგომას, ბრძნულ სიტყვასა და გამხნევებას, რათა უფსკრულის პირას მიყვანილი ჩვენი ქვეყანა არ შთანთქოს უსამართლობისა და უღმერთობის მორევმა.

თქვენ, ჩვენო უნეტარესო, არაერთ ადამიანს გაუწოდეთ დახმარების ხელი და გადაარჩინეთ დაღუპვას და მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები.

პატივისცემით,

ამირან ბიწაძე *ოჯახით*
საქართველოს დამსახურებული
სპორტსმენი, მსოფლიოს 2 გზის
ჩემპიონი ორთაბრძოლებში

... ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის კიდევ ერთი „დაისი“. იმ დღეს გამოცხადებული იყო „დონ ჟუანი“. აღმოჩნდა, რომ ორივე ტენორი, რომლებიც ოტავიოს პარტიას ასრულებდნენ, გახდა ავად. ვბჭობდით, რა გაგვეკეთებინა, სპექტაკლი რომ არ ჩაშლილიყო. ამ დროს მოვიდა ეთერ კოხოძე, სიონის რეგენტი – ანტიოქიის პატრიარქი სტუმრობს ჩვენს პატრიარქს და უნდათ ქართული ოპერის მოსმენაო. უთხრეს, დღეს „დონ ჟუანია“ გამოცხადებულიო. „დონ ჟუანზე“ არ მოვლენო. დასის მმართველი ნიკოლოზ ნადიბაიძე შემეკითხა, ხომ არ იმღერებ „დაისსო“. მე ვუთხარი, დიდი სიამოვნებით-მეთქი, თემურ გუგუშვილიც დათანხმდა და მაშინვე შევუთვალეთ საპატრიარქოს. „დაისზე“, როგორც წესი, ბევრი ხალხი ესწრება ხოლმე, 14-15 კაცი იყო „დონ ჟუანზე“ მოსული. ამ თითქმის ცარიელ დარბაზში უცებ გაიღო კარები, შემოვიდა საქართველოს მთელი სამღვდელოება, გაივსო ლოჟები, მერე ჩამოვიდნენ ამფითეატრში. ანტიოქიის პატრიარქის პატივსაცემად გამართული „დაისი“ იყო არნახული წარმოდგენა. სპექ-

ტაკლის შემდეგ უწმიდესმა შემოგვითვალა, ნუ წახვალთ, სცენაზე ამოვალთო. მთელი სამღვდელოება ამობრძანდა, პატარა ოთახში შევედით, მოგვილოცა, დაგვლოცა ანტიოქიის პატრიარქმა, დაგვლოცა უწმიდესმა და მერე მითხრა: „ელდარ, ხვალ საღამოს მე და ანტიოქიის პატრიარქი ვწირავთ და ჩამოდი შენს ამხანაგებთან ერთად სიონში.“ რა თქმა უნდა, ჩავედით. როგორც კი დამინახეს, შემიყვანეს საკურთხეველში და პატრიარქმა გადმომცა ჯვარი, რომელსაც იმ დღიდან ვატარებ. მას აქვს უდიდესი ძალა, იმიტომ, რომ ორი პატრიარქის ნაკურთხია.

საარბრიუკენში ნოდარ ანდღულაძესთან, ცისანა ტატიშვილსა და თამარ გურგენიძესთან ერთად ვიმღერეთ ვერდის „ტრუბადური“ და ვბრუნდებოდით უკან. მოსკოვში ერთი აეროდრომიდან მეორეში გადაგვიყვანეს. თვითმფრინავში რამდენჯერმე აგვიყვანეს და ჩამოგვიყვანეს თბილისში უამინდობის გამო. მეშვიდეჯერ რომ ავედით, ნოდარი დაჯდა თავის ადგილზე სიტყვებით: „დავიღალე, აქედან ველარავინ ჩამიყვანსო“. მე მის უკან ვიჯექი. უცებ გავიგონე: „ელდარ, თუ იცი, რა ხდება, ბეჭებში სითბო ვიგრძენიო“, მერე ჩემკენ შემობრუნდა და მითხრა: „მიიხედე უკან!“ მივიხედე და უწმიდესისა და უნეტარესის გაცისკროვნებულმა სახემ შემომანათა. ის იყო პატრიარქი დაბრძანდა, რომ გაისმა ხმა: „შეიკარით ღვედები, თვითმფრინავი ასაფრენად მზადაა.“

ელდარ გეწაძე,
საქართველოს სახალხო არტისტი
ამონარიდი წიგნიდან „უფალი
სუფევს, მშვენიერება შეიმოსა“

განათლება მხოლოდ მაშინ აღწევს თავის ჭეშმარიტ მიზანს, როდესაც ის ეფუძნება ფუნდამენტურ მეცნიერებას და ძლიერ მორალურ პრინციპებს. ჩვენ მადლიერები ვართ თქვენი ღვაწლისათვის აფხაზეთში. ბევრი ჩვენგანი თქვენი დიდი მეცადინეობით დაადგა ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ გზას. თქვენი მსახურების 17 წელი, რომელიც ჩემს მშობლიურ ქალაქს წილად ერგო, უდიდესი სიკეთე და მადლია უფლისგან. ამ წლების მანძილზე, იმ არცთუ მარტივ საზოგადოებრივ გარემოში, გულის გასახარად და სულის გასაძლიერებლად ლოცვითა და სიყვარულით გასხივოსნებული, გზას გვინათებდით თითოეულ ჩვენგანს. ეს ყოველი სოხუმელისთვის ფასდაუდებელია.

გულითადი სიხარულით ვუერთდები მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყაროს დღესასწაულს და მოკრძალებით, თაყვანისცემითა და ჭეშმარიტი სიყვარულით გილოცავთ აღსაყდრებიდან 35 და დაბადების 80 წლისთავს.

ნაზირა კაკულია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და
ბიზნესის ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი

არსებობს ცხოვრებაში წუთები, რომლებიც არასოდეს დაგავიწყდება და მათი გახსენება განუზომელი ძალითა და მადლით გავსებს. სული ზეიმობს, გულს აღმაფრენა ეუფლება და გინდა, ეს ბედნიერება უსასრულოდ გაგრძელდეს.

ჩემთვის ასეთი წუთები მის უწმიდესობას უკავშირდება, უფრო სწორად, იმ ბედნიერ მომენტს ჩემი ცხოვრებისას, როდესაც მომენიჭა უფლის წყალობა და პატრიარქმა თავზე ხელის დადებით დამლოცა. უსაზღვრო სითბო და ნათელი გადმოვიდა ჩემზე და სიცოცხლის ენერგია შემმატა.

მე, ერთი ჩვეულებრივი, ცოდვილი მოკვდავი, რამდენჯერმე გავხდი ღირსი ვყოფილიყავი შეხვედრაზე საპატრიარქოში. როდესაც ისმენ კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებას ტაძარში, რწმენა გემატება, როდესაც უფლის სადიდებლად მუხლმოყრილი ლოცულობს, უჩვეულო განცდა ცრემლად გადმოდის. მაშინ კი, როდესაც ამ სპეტაკი წინამძღვრის გულითად საუბარს ვიწრო წრეში უსმენ, უსმენ, როგორი სიყვარულით იგონებს ჩემს სამშობლოში, აფხაზეთში გატარებულ წლებს, სიხარულთან ერთად სიამაყეც გეუფლება, რომ ქართველი ხარ, იმ ერის შვილი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება ჰყოლოდა ასეთი სულიერი მამა — ყველასათვის ახლობელი, ყველას ჭირისა და ლხინის მოზიარე, საიმედო მრჩეველი და დასაყრდენი ძნელბედობის ჟამს.

გილოცავთ, თქვენო უწმიდესობავ, ერის მსახურებაში გატარებულ საიუბილეო თარიღებს და შევთხოვ უფალს, დიდხანს გამყოფოთ ჩვენს შემწედ და მფარველად.

უღრმესი მოწიწებითა და თაყვანისცემით,

ციცინო ჯულუხიძე
მწერალი

პატრიარქი მოგვილოცავს

ღმერთო, ყველას გაუმარჯვე,
ყველა მოკვდავს და ღვთისმოსავს,
ახალი წლის მობრძანებას
პატრიარქი მოგვილოცავს.
ხელთ უპყრია ერის მაჯა,
სასთუმალთან ღამეს უთევს,
მისი ლოცვა შეეწევა,
საქართველოს ყველა კუთხეს:
„ძნებით, ჩხებით, სიყვარულით,
გამრავლდით და ტეხეთ ახო,
გვიხაროდენ, გვიხაროდენ,
ღვთის გულში გვაქვს საძოსახლო“.

გვენატრები დიდგორო და
გვენატრები ბასიანო,
უწმიდესის კურთხევითა
დღე თენდება სასიამო:
რაც ქართველმა იწადინა,
რაც ქართველმა იოცნება,
აგვისდება, რადგან ერის,
ერის მამა ილოცება.
ახლა უნდა ვითამაროთ,
ახლა უნდა ვიდავითოთ,
ღმერთიც გვლოცავს, გამრავლდითო,
სულ მარადის იყავითო.
ზარი რეკავს და გუგუნებს,
მოგვიწოდებს დედო–ზარი,

გიყვარდეთო, გიყვარდეთო,
ქართველის მაჯის შემტყობარი.
იბარდნება ხარდანი და
ვაზი ფიფქით იოცნება,
ღვთისმშობელი დაგვიფარავს,
ერის მამა ილოცებს.
ღმერთო ყველას გაუმარჯვე,
ყველა მოკვდავს და ღვთისმოსავს,
ქართველების ერთად ყოფნას
პატრიარქი მოგვილოცავს.

ვაჟა მიროტაძე
საქართველოს მწერალთა
კავშირის წევრი
ლადო ასათიანის სახელობის
პრემიის ლაურეატი

ჩვენი ფოტოგალერეა სადღესასწაულოები

ბაფუნიჯების ლაბადების ღლის მილოცვა. 2012 წელი

ღვთის ღლის აღსანიშნავი საღამო საბაუნიჯოში. 2012 წელი

წმ. თამარ მეფის ხსენების ღლის აღნიშვნა. 2012 წელი



ISSN 2298-0865

9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: სვეტლანა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია),
ლია სეხნიაშვილი, ნოდარ სილაგაძე, ირინა ქეცბა
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. №37, IV სართ. ტელ.: 293-17-20, 599-05-96-11. ტირაჟი: 500 ცალი